



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბედობილ ბეჭდ-  
უძი სიფყვას, ფეხილებით და ჭბრებით ბუბ-  
თის გაფანა ყველა უკანდისდბაგე უსამაგლესია.



გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# საქართველო

ორშაბათი-სამშაბათი, 24-25 ოქტომბერი, 2022 წ. №165 (9503) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




### ვინ გვიტევს კივიდან?!

## უკრაინელო ნაუკრიშინალებო!

არესტოვიჩი,  
პოლოლიაკ,  
დანილოვ და...  
არასამიავ, ②

ქართველებო!  
აღამიანობა არ უნდა  
დავპარგოთ, თუნდაც  
იმ უკრაინელი ათი  
ათასობით დევნილის  
წინაშე, რომლებიც  
შეიძლება ამ 3-4  
დღეებში გაემიჯნოს  
გამო უხერხულ  
ვითარებაში ჩავაგდოთ

### თქვენ დედაბი გყავთ?!



### ბორჯომ-ბაკურიანის დღევანდელი და მომავალი

მასშტაბური  
ინფრასტრუქტურული  
პროექტები რეგიონში

## ამ წიგნით თაობები უნდა აღიზარდონ!

„ქართული  
ლიტოგრაფიის  
ისტორიის“  
მეორე ⑤  
გამოცემის  
გამოსვლის  
გამო



აფხაზებმა  
მსოფლო  
ში მოხალისე  
გაუშვეს ომში, ოსი  
აღან გაგლოვი  
თავს არ იკლავს  
რუსის ჯარის ქებით!..



③  
განყოფილები  
ოვის  
კვალ-  
დაკვალ  
სხინვალის  
რეგიონსა  
და  
აფხაზეთში

### რადიკალების სიბღაბლა ④

სანამ  
ქუჩაში  
აუბრაუბს  
ატეხდეთ!..




### პირველმა როგანმა ნაუკრიშინალები ⑪ დაარსდა!



### კილიმანჯაროს მთაზე ხანძარი

აფრიკის ყველაზე მაღალ ადგილას, კილიმანჯაროს მთაზე, ტანზანიელი მეხანძრეები არიან მობილიზებული. ფერდობზე ცეცხლი და კვამლი შეინიშნება. უცნობია, როგორ გაჩნდა ხანძარი ან რა მოცულობის ტყეა დაშენი. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. კილიმანჯაროს მთა, რომლის სიმაღლეც 5,895 მეტრია, პოპულარული ტურისტული ადგილია. მასზე ყოველწლიურად ათიათასობით ადამიანი ადის.





# გადადლობით, უპრაინელი ნაჰკრიჰინალებო!

## პრესტოვიჩი, პოდოლიაკ, დანილოვ და... პრასამიავ, თქვენ ღაღაბი გყავთ?!

## აღამიანობა არ უნდა დავკარგოთ. თუნდაც იმ უპრაინელი ათი ათასობით დავნილის წინაშე, რომლებიც უიქლავა ამ 3-4 დეკანობის გამო უხერხულ ვითარებაში ჩავაგდოთ

წვერი დავით ქართველიშვილი აცხადებს, რომ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ოფიციალური წარმომადგენლის ამ განცხადების ფონზე გუშინდელი მიდგომა აღარ აკმაყოფილებს და საჭიროა მკაფიო განმარტება. მისი თქმით, როგორც იქნა, ყოველგვარი შემოვლითი გზების გარეშე გამოაშკარავებს საკუთარი რეალური მიზნები.

„მესმის ხელისუფლების მცდელობის, საქართველო-უკრაინის ურთიერთობების კიდევ გარკვეული დროით, „ინერციით“, „ცალმხრივი მეგობრობის“ პოლიტიკაში შეფუთვის, მაგრამ

რისო სამართლის ერთ-ერთი ფუნქციონირების პრინციპია ძალის გამოყენების აკრძალვა და ასევე მისი გამოყენების მუქარა. ამ ადამიანმა, სავარაუდოდ, ამის შესახებ არაფერი იცის. უბრალოდ, კარგი იქნება უფრო მეტად გაერკვეს საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო ურთიერთობებში და მსგავსი ტიპის კრიმინალური განცხადებები აღარ გააკეთოს“, – განაცხადა რატი ბრეგვაძემ.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძე მედიას ურჩევს არესტოვიჩის, პოდოლიაკის სისულელეების მოსმენა შეწყვიტონ. როგორც სამხარაძე ამბობს, მომავალ კვირას სპარლამენტო დელეგაცია ზაგრებში შეხვედბა რადას თავმჯდომარეს და სწორედ მასთან დასავამენ ამ საკითხს, რადგან არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ერთი ქვეყნის მხრიდან მეორე ქვეყნის მიმართ აგრესია რა ფორმით განხორციელდება.

„არესტოვიჩის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან თუ ვიმსჯელებთ, სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე. არ ვიცი, მას ასეთი რამ თავში როგორ მოუვიდა. არესტოვიჩი გვიპირდება, რომ თურმე უკრაინა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიას განახორციელებს. მგონი, აბსურდის თეატრში ვართ. გთავაზობთ, რომ არესტოვიჩის, პოდოლიაკის სისულელეების მოსმენა შეწყვიტოთ – ამაზე კომენტარების კეთებაც აღარ ღირს.

მომავალ კვირას სპარლამენტო დელეგაცია ზაგრებში, ყირიმის პლატფორმაზე მიემგზავრება, რომელიც მოგესვენებათ, რომ არის უკრაინის მხარდასაჭერი პლატფორმა. შეხვედრა იქნება რადას თავმჯდომარე სტეფანუკთან და მასთან ამ საკითხს დაესვამთ, თუმცა მისი პასუხი წინასწარ ვიცით, რომ ეს არის არასერიოზული ადამიანის არასერიოზული განცხადება და ამიტომ ეს განცხადება სერიოზულად არ უნდა მივიღოთ“, – აცხადებს ნიკოლოზ სამხარაძე. ხატი დეკანოიძის შეფასებით, არესტოვიჩის მოსაზრება, ალბათ,



უფრო ეხებოდა ზოგადად უკრაინის როლს რეგიონში, მაგრამ როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი აცხადებს, ჩვენი ოკუპირებული რეგიონების დასაბრუნებლად ძალის გამოყენება კატეგორიულად მიუღებელია.

„მე ომის მუქარას არ დავარქმევდი, თუმცა, რა თქმა უნდა, მე ნამდვილად არ ვიზიარებ და არ გავიზიარებ არავის მოსაზრებას ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. მისი მოსაზრება, ალბათ, უფრო ეხებოდა, ზოგადად, უკრაინის როლს რეგიონში, მაგრამ საქართველოში ძალის გამოყენება, ჩვენი ოკუპირებული რეგიონების დასაბრუნებლად, კატეგორიულად მიუღებელია.

ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანად, დასავლური და ეკონომიკური ინტეგრაციით უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები. დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, რაც რუსეთი დამარცხდება უკრაინაში, იქნება იმის ძალიან ბევრი და დიდი შანსი, რომ ჩვენი თანამოქალაქეებთან ერთად დავიბრუნოთ ის ოკუპირებული ტერიტორიები, რომელიც რუსეთის ფედერაციამ, რომელიც აღიარებულია ტერ-

რორისტულ რეჟიმად, ძალით წაგვართვა“, – ამბობს ხატი დეკანოიძე.

პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარე ალექო ელისაშვილი თვლის, რომ საქართველომ და უკრაინამ ორკვირიანი დუმის რეჟიმი უნდა დაიცვან და შემდეგ დაიწყონ ერთმანეთისკენ ნაბიჯების გადადგმა.

„ასეთი განცხადებები დამაზიანებელია. ნუ გავჯეჯილდებით, რომ არიქა და უკრაინის ჯარი შემოვა, ეს არასოდეს მოხდება, თუმცა ცუდი განცხადებები კეთდება. სადაც უნდა გაჩერდნენ ქართული და უკრაინული მხარეები. ორკვირიანი დუმის რეჟიმი უნდა დავიცვათ, შემდეგ დაიწყოს ერთმანეთისკენ ნაბიჯების გადადგმა. ეს ყველაფერი მათგან ჩვენი და უკრაინის არესტოვიჩი, პოდოლიაკი და კობახიძე უნდა გაჩემდნენ ორი კვირა მაინც და შემდეგ დაიწყონ ნორმალური პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა“, – განაცხადა ალექო ელისაშვილმა.

ანალიტიკოსი „ხალხის ძალის“

ეს გაუფრდა გუშინ. დღეს, უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ოფიციალური წარმომადგენლის ამ განცხადების ფონზე მე გუშინდელი მიდგომა აღარ მკმაყოფილებს. მე სამთავრობო დონეზე მჭირდება მკაფიო განმარტება – რასთან გვაქვს საქმე. ამ საკითხებთან მიმართებაში მაქვს ემოციური, ადამიანური მოსაზრება და მაქვს უკვე მომავალი ახალდგენა პოლიტიკოსის მოსაზრება. ჩემი ემოციური მხარე მკარანასობს, რომ ჩვენი მხრიდან ამის უფურადღებოდ და დაუსჯელოდ დატოვება უკვე აღარ შეიძლება მთელი რიგი ობიექტური მოსაზრებების გამო.

„ნაცმოძრაობის“ ადგილობრივი წევრების და მათი უკრაინელი კოლეგების ეს ბოლოდროინდელი ქმედებები მართლაც მიდასტურებენ იმ გარდაუვალ ტენდენციას, რომელიც ეხება მათ იდეოლოგიურ ფლანგზე განხორციელებულ მოვლენებს ანმყოში და მომავალში. აშკარად ვხედავ იმ კრახს, რომელსაც განიცდიან ამ რაღაცა ფსევდოლიბერალური ფლანგის წარმომადგენლები საქართველოში. განულებული,

სანძციბი, როგორც მცდელობა, საჭრთველო ჩაბან სომარ მოქმედებაში, რომ ზანოლის ერთ-ერთი ფორმაა, აბას ადასტურებს უპრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველის ოლადის არასტოვიჩის განცხადება: „პრორუსული მთავრობის გათვალისწინებით, რომელსაც არ აბას უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება და განადაგონა ყველაფერი, რაც შეიძლება სააკაშვილზე, სადაც კორუპციული პოლიცია, სადაც ყველაფერი იხილება, როგორც თავად ძართველიანი აბაოვან და ა.შ. ის, რა თქმა უნდა, იროვნული უსაფრთხოებისთვის დიდი პრობლემაა.

ჩვენ მოვასდეთ იმ ძალის პროპაგანდას, მოგვიწვევს ძართველიანის გადაჩინა, მოვლოვის გადაჩინა, სომხეთის გადაჩინა, ყველას გადაჩინა. ეს აბრბი იბტორია, რადგან მილიონი ჩვენი ნაოზარი ბიძისა და გოგონების ყოველთვის მოიკანება საშუალო უსალოეს მომავალში აოსტისაბოთა სივრცეში. მობლოვისმყოფელები, სტაბილიზაციური ოპერაციები, უზანდარული ოპერაციები

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველის განცხადებას გამოხმაურება მოჰყვა თბილისში. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არესტოვიჩის განცხადება არის კრიმინალური ხასიათის და საერთაშორისო სამართალში გარკვევას ურჩევს.

„ზოგადად, ნებისმიერმა ადამიანმა, მით უმეტეს ადამიანმა, რომელსაც აქვს იმის პრეტენზია, რომ ვინმეს რამე ურჩიოს, უნდა იცოდეს საერთაშორისო სამართალი. საერთაშო-

# აფხაზებმა მხოლოდ 30 მოსალისა გაუშვეს ოფში, ოსი ალან გაგლოვი თავს არ იკლავს რუსის ჯარის ქებით!

გაკორტყეული რეიტინგების მქონე ე.წ. ოპოზიციური პარტიები, რომლის ყველაზე უსუსური წარმომადგენლები ისტერიულად დასდევენ უკრაინის ტერიტორიაზე მათ ჩამორთვან რაიმე კომენტარი, რათა ამ სახით მაინც შემორჩენენ ტელევიზიის ეკრანებს და ადამიანების ცნობიერებას. საუბარია ისეთ ე.წ. პოლიტიკოსებზე, როგორც არის მანუა გელაძე, ქემოკლიძე, მუხრან შვილი და ა.შ. დაახლოებით იგივე პროცესები მიმდინარეობს დღეს უკრაინაში, - აცხადებს ქართველი შვილი.

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, როდესაც გარდაუვალი იდეოლოგიური და პოლიტიკური კრახის წინაშე მყოფი პარტიები, პოლიტიკოსები, დანიშნული პარტიები და მათი ლიდერი პრეზიდენტი ზელენსკი ბოლო პერიოდში მიმართავენ ისეთ გაუგებარ, ალოგიკურ ნაბიჯებს, როდესაც საქართველოს წინააღმდეგ, რომლებსაც არანაირი შემსებლობა არ ჰქონიათ რუსეთის გამარჯვებასთან უკრაინის ფრონტზე, არც უკრაინის წარუმატებლობასთან აგრესორ რუსეთთან ომში, სანქციებს უწესებენ მხოლოდ და მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ისინი არიან ბიძინა ივანიშვილის ნათესავები.

„იგივე გზას აყენებ, რა გზასაც აყენებდნენ ევროპარლამენტარების ნაწილი, რომლებმაც ევროპარლამენტში დეოლიგარქიზაციის თემა მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე მორგების გამო შეიტანეს. მაგრამ ცხოვრებამ, სამართლიანობამ, ობიექტურობამ ეს თემა მათ წინააღმდეგ შემოატრიალა, როდესაც ხელისუფლებამ მთელს მსოფლიოს და მათ შორის ევროპას დაანახა, რომ დეოლიგარქიზაციის თემა განეკუთვნება ყველა-კეზარაშვილი, წერეთელი, ხაზარაძე, ნაყოფია — ბიძინა ივანიშვილის გარდა.“

ამიტომ, არისტოვიჩის ამ გასროლამ პაერში, ასევე ზელენსკის და დანილოვის პაერში გასროლამ ემოციურად აღმშოთება უნდა გამოიწვიოს ჩვენში, როგორც ქართველებში და როგორც ადამიანებში, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქეებში, რომლებიც გადაყვრილები არიან იმ ათასობით უკრაინელ დევნილზე. ორი კვირაა ბათუმში ვარ და გადავსებულა ბათუმი უკრაინელებით და აი, ამ ყველაფრის ფონზე საქართველოს მოქალაქეებს უწესებენ სანქციებს, ეს ემოციურად ძალიან ძნელი ასატანია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, მოთმინება გვმართებს, - ამბობს ანალიტიკოსი.

მისი თქმით, შექმნილი ვითარების მიუხედავად მიუღებელია ელჩის გამოწვევა.

„მოთმინებით ვადევნოთ თვალი, მხილებით ვამხილოთ, მაგრამ ელჩის გამოწვევის მსგავსი ნაბიჯები არ გადავდგათ. ისინი ჩვენი სამთავრობო ძალისხმევას გარეშე იძირებენ და ხელი არ შეუშალოთ, მივცეთ საშუალება, რომ ჩაიძირონ. ამ ჩაძირული ძალების ადგილას აღმოცენდებიან უანსაღი ძალები, საქართველოში, უკრაინაში, ამერიკაში და ევროპაშიც. ამ ძალების აღმოცენებას შევხვდეთ მხარდაჭერით და იმ ადამიანობით, რომელიც არ უნდა დაგვარგათ თუნდაც იმ უკრაინელი ათი ათასობით დევნილის წინაშე, რომლებიც შეიძლება ამ 3-4 დღეგანერატის გამო უბრალოდ უხერხულ ვითარებაში ჩაგვადლოთ ჩვენს ქვეყანაში“, - აღნიშნა დავით ქართველი შვილი.

თამაზ ძარჩავა

**საძარტველს ოკუპირებული რეგიონებიდან მოქალაქეები უკრაინის წინააღმდეგ ომში იღუპებიან. ეს იმის გამო ხდება, რომ აფხაზებსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის ფედერაცია ე.წ. ეფექტიანი კონტროლის განმარტვლებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ორ ანკლავეში, სადაც თავს დამოუკიდებელ რესპუბლიკებად მიიჩნევენ თვითღირებული ხელისუფლებები, რუსეთის მოკარნახე იმისა, თუ სად და რატომ უნდა დაიღუპონ აფხაზები და ოსები.**

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთშიც და ოსეთშიც უკრაინის ომში დაღუპულების ცხედრებს გლოვობენ, ეს არაა „ოფიციალური განცხადება“ შედეგი. რუსეთის ფედერაციამ ვერცერთ ამ რეგიონში ვერ გაბედა განცხადება იმის გამო, რომ ადგილობრივი თემები არ გაელიზინებინა - ასე მიიჩნევენ ქართველი პოლიტიკოსები, ვისაც „ამერიკის ხმა“ ესაუბრა. ცხინვალში ამ დრომდე დაღუპულია 20 მეგრძოლზე მეტი, თუმცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უკვე ცდილობენ ამ ტიპის ინფორმაციის ლიმიტირებას.

მეგრძოლები, ვინც უკრაინის წინააღმდეგ ომში აფხაზეთიდან ან ცხინვალის რეგიონიდან მოხვდა, მოხალისეების სახით წავიდნენ. ცხინვალის შემთხვევაში მოხალისეებს დაემატა ის კატეგორია, ვინც რუსეთის სამხედრო კონტინგენტთან ინტეგრირებულ დანაყოფებში მსახურობდა. 19 ოქტომბერს, პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმად, საომარი მდგომარეობა გამოცხადებული ფედერაციის მიერ ახლამიერთებულად აღიარებულ ტერიტორიებზე - ლუჰანსკისა და დონეცკის „რესპუბლიკებსა“ და ხერსონისა და ზაპოროჟიის ოლქებში.

პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია იმ „სიკეთების“ შესახებ, რასაც უკრაინის ომში განცვეული სამხედრო მოსამხარულებების ოჯახები იღებენ რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ნაწილში, პუტინის განკარგულებით. ასეთი სიკეთეა, მაგალითად, სკოლაში უფასო კვება ჯარისკაცების შვილებისთვის კრასნოდარის ოლქში, რასაც ადგილობრივი მერია დააფინანსებს. ივანოვსკის ოლქში 50 ათას რუბლს მიიღებენ მობილიზებულები, პრიკამიეში კი მობილიზებულ მოქალაქეებს თითო შვილზე 15 ათას რუბლს გადაუხდინა და სხვა. არის შეცდომით განცხადებები შემთხვევებიც, სწრაფი მობილიზაციის შედეგად. მაგალითად, ტერსკის ოლქიდან განცვეული 30 მოქალაქე დააბრუნეს უკან. ისინი შეცდომით აღმოჩნდნენ მობილიზებულთა რიგებში.

ჩრდილო ოსეთის ლიდერს, სერგეი მენიაილს პირადად დაეველა გაეკონტროლებინა საზღვარი, რათა მობილიზაციას დაქვემდებარებულ მოქალაქეებს თავი საქართველოსთვის არ შეეფარებინათ ზემო ლარსიდან. ის აკონტროლებდა ქვემო სარამაგის გამსვეტ პუნქტსაც. მენიაილს საზღვრის გადაკვეთამდე უნდა გა-

## განყოფილების კვლავ სხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში

დაეცა განცხადება ცნობა მათთვის, ვინც აპირებდა საომარ მოქმედებებში ჩართვას თავის არიდებას. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია იტყობინება, რომ ამ მხრივ, ვითარება ახლა კონტროლს ექვემდებარება და გამოცხადებულია ნაკადის გამო პრობლემები აღარ იქმნება.

11 ოქტომბერს ცხინვალში დაკრძალეს კიდევ ერთი დაღუპული, ვინც უკრაინის წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც რუსეთის ფედერაციის მეოთხე სამხედრო ბაზის კონტრაქტორი. მის პანაშვიდზე ფაქტო პრეზიდენტმა, ალბერტ კულოვმა და განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთში არც ერთ მოქალაქეს არ აურიდებია თავი მობილიზაციისთვის. ჩვენი ბიჭებიდან ყველა თვლის თავს ვალდებულიად, დაეხმაროს დონბასელ ხალხს ამ რთულ დროში. მრავალმა გამოიჩინა გმირობა და ვაჟკაცობა და სამწუხაროდ, დამთო სიცოცხლეს წაიღო წინააღმდეგობრძოლაში.“ აღნიშნა, დე ფაქტო პრეზიდენტმა, ალბერტ კულოვმა დააფილდოვა. მისი ცხედრის ამოცნობა ვერ მოხერხდა, რადგან 14 კვირის განმავლობაში იყო დაკარგული. კულოვის ვინაობა მხოლოდ დღემ ანალიზით დაადგინეს.

საკუთარი მოქალაქეების დასაცავად, ცხინვალის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალური განცხადებაც კი გააკრცვა იმ მონოლოდით, რომ ეგვრეთლო პირებს ესარგებლათ სარეზერვო სახრეთ ოსური და არა რუსული პასპორტებით. თავდაცვის დე-ფაქტო მინისტრის თქმით, ეს მათ დაიცავდა მობილიზაციაში მოხვედრისგან.

„როგორც ცნობილია, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეების უმეტესობა, ამავდროულად, არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. ამგვარად, სამხედრო სამსახურში განცევა, ნაწილობრივი მობილიზაციის ფარგლებში, ესეებით იმ პირებსაც, ვისაც აქვს რუსეთის ფედერაციაში გავლილი რეგისტრაცია. ისინი მიიღებენ განცხადებას. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტრო რეკომენდაციას აძლევს სამხედრო პირებსა და სამოქალაქო პერსონალს, საზღვრის კვეთისას თან იქონიონ სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პასპორტი,“ - ნათქვამია დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.



ამ გზით, თვითღირებული უწყება ცდილობდა დაეცვა მოქალაქეები უკრაინის წინააღმდეგ ომში წასვლისგან. აფხაზეთსა და ცხინვალის საზოგადოებებს შორის ამჟამად არსებული განწყობების შესახებ საუბრისას, კონფლიქტოლოგი, კოალიცია „დევნილთა უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ზურაბ ბენდიანიშვილი „ამერიკის ხმასთან“ აცხადებს, რომ „განყოფილები ახლა შეცვლილია.“

„თუ თავდაპირველი ათვლის ნერტილად მივიჩნევთ 24 თებერვალს, ომის დაწყების თარიღს უკრაინაში, შეზღუდული და რეალურად საყოველთაო მობილიზაციის თარიღი არის მორე ათვლის ნერტილი. დე ფაქტო ცხინვალს საკუთარი თავდაცვის ძალები არ გააჩნია. მათი სამხედრო ძალები მთლიანად ინტეგრირებულია რუსულთან. ამდენად, მათ მონაწილეობა აქვთ თავიდანვე ჩართვა ომში. ამ მხრივ, განსხვავებული ვითარებაა აფხაზეთში. აფხაზეთისგან წავიდა მოხალისეთა 30-კაციანი ჯგუფი. აფხაზები წინააღმდეგი იყვნენ, რომ მათი ახალგაზრდები ომში წასულიყვნენ. დიდი მსხვერპლია ცხინვალში. 20 ადამიანზეა საუბარი და ეს ძალიან დიდი რაოდენობაა პატარა ქალაქისთვის. მალევე გაჩნდა კითხვები იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებულია ისეთი მცირე ერების ჩართვა ომში, როგორიც ოსები არიან. ისინი ამბობდნენ, რომ რუსები დაგვეხმარნენ ყველაფერში, მზად ვართ მათ გვერდში დავუდგეთ, მაგრამ ეს არაა ჩვენი ომი იმდენად, რომ ამისთვის ყველა რესურსი გავილოთ. აფხაზეთში თავიდანვე დარწმუნებულები იყვნენ, რომ ვერ შედეგობდა განცევა, თუ ის დაიწყებოდა, რადგან საზოგადოების ყველა ფენა განცხადებით წინააღმდეგი იყო,“ - გვეუბნება ზურაბ ბენდიანიშვილი.

დე ფაქტო ცხინვალსა და აფხაზეთსა საზოგადოებებში ომთან დაკავშირებული განწყობების მკაფიო ცვლილებების თაობაზე „ამერიკის ხმასთან“ ისაუბრა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, პაატა ზაქარეიშვილმა.

„განყოფილები ცვლილებები აშკარად არა რუსეთის სასარგებლოდ როდესაც ომი დაიწყო, ცხინვალშიც და სოხუმშიც იყო აქტიუტაჟი, ეიფორია, რომ აი, ახლა უკრაინელების რიგი მოვიდა. რუსეთი განაგრძობს თავისი იმპერიალისტური განზრახვების განხორციელებას, ჩვენ ვინ რას გვეკითხება. რუსეთმა დასაჯა საქართველო, 2008 წელს, ჩვენ გვადიარა დამოუკიდებლად, რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა მუშაობს ჩვენს სასარგებლოდ. ასევე წაიკითხეს დონეცკისა და ლუგანსკის ალიანების შესახებ. მაგრამ ომი რომ გაიწვია, უკვე წამოვიდა ირონია, ცინიზმიც

კი. ეს იგრძნობა მათ ტელეგრამ არხებზე, სადაც წერენ, რომ აბა, სადაა გამარჯვება? განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ხერსონისა და ხარკოვის მიმართულებით არის უკრაინული წარმატება. გარკვეულწილად, ჩანს, რომ რუსეთი თავისას ვერ აღწევს და გაჩნდა კითხვა, „რა გვეშველება ჩვენ, თუ რუსეთი დამარცხდება. თუ რუსეთი მოუწევს თავისი აგრესიის მოთოკვა, ჯარების გაყვანა, მათ შორის აფხაზეთიდანაც?“ თუ მთელი მსოფლიო ამარტვებს რუსეთს?“ - ასეთი განცხადებები არის, განსაკუთრებით, აფხაზეთში,“ - გვეუბნება პაატა ზაქარეიშვილი.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი იმასაც აღნიშნავს, რომ ცხინვალში არ იგრძნობა დიდი ენთუზიაზმი და რომ ახალი პრეზიდენტი, ალან გაგლოვი პასიურობას ამჯობინებს. ამის მაგალითად თვლის იმას, რომ აფხაზეთში, ომში გამარჯვების აღსანიშნავ იუბილეზე გაგლოვი სოხუმში არ წავიდა.

„ამის გამო ის ცხინვალშიც კი გააკრიტიკეს. ზოგადად, გაგლოვი თავს არ იკლავს შეაქოს რუსეთის არმია“, - გვეუბნება ყოფილი სახელმწიფო მინისტრი.

ოპოზიციულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების განყოფილების ცვლილებაზე პრაქტიკულ გამოცხადებას უკლებს. ისინი განმარტვებენ, რომ საქართველოში მოქალაქეების მიღების მსურველთა რაოდენობა ბაიზარდა რომორც ცხინვალში, ისე აფხაზეთში.

„საქართველოს პასპორტის აღების მსურველი ახლა გაცილებით მეტია. ამას ბუნებრივი მიზეზი აქვს, რადგან რუსეთის ფედერაციის პასპორტებით საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობა უკვე პრობლემური გახდა, როგორც დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში, ისე აფხაზეთში მცხოვრები ადამიანებისთვის.“ - ამის შესახებ ჩვენთან პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა.

ჩვენი რესპონდენტები, ასევე ფიქრობენ, რომ შიშინი ვითარება ხელსაყრელ მომენტს ქმნის, რათა საძარტველს ხელისუფლებამ მკაფიო სიზნავლები გაუშვას მოსახლეობის მიმართულებით, რადგან ორნივე ოპოზიციულ ტერიტორიაზე მყოფ საზოგადოებას შორის არის შიში იმისა, რომ საქართველო ომს მათ წინააღმდეგ დაიწყებენ.

ის შიში კი დიდწილად, განაპირობებს, რომ ცხინვალსა და სოხუმში ირთვით მშვიდობა და გადამარტვება რუსეთის მიმართ. ამ მიმართ განმარტვებას საძარტველს ხელისუფლებას ამოცანა უნდა იყოს, - ამბობენ „ამერიკის ხმასთან“.

ინო დალაძიშვილი



მეუფე შიო მუჯირი:

# სიყვარული უკვდავია... და ეს სიყვარული სიკვდილზე კლიერია!

სიყვარული უკვდავია, სულიც უკვდავია და ეს სიყვარული სიკვდილზე კლიერია, გვაძლავს, გვაძლავს, გვაძლავს ჩვენს ახლოვლებთან რუმორც მიწიერი, ისა მარადიულ ცხოვრებაში, — ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) სამეცნიერების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

„ქრისტეს მიერ საყვარელნი მამანო, ძმანო და დანო, დღეს ჩვენ წმინდა ეკლესია გვიკითხავს სახარებას, სადაც წარმოდგენილია ადამიანური უბედურების ორი უკიდურესი ნაირსახეობა. ეს არის ქვრივობა და ერთადერთი შვილის გარდაცვალება. აი, ეს ნაინელი ქალი, რომელზეც დღეს მოთხრობილია, იყო ქვრივი და თან ასაფლავებს ერ-

თადერთ ვაჟს. მოდის ეს სამგლოვიარო პროცესია და ქალაქის კარიბჭესთან ხვდება უფალი იესო ქრისტე, რომელიც ისეთი სიტყვებით მიმართავს ამ ქალს, საიდანაძე ჩანს, რომ მისი უბედურება აქ სრულდება. იგი ეტყვის: „ნუ სტირი!“ პროცესია ჩერდება, უფალი მიდის ცხედართან, უბრძანებს მას: „ჭაბუკო, აღსდევ!“ და უბრუნებს ამ ქვრივს მის ერთადერთ იმედს, აცოცხლებს. თქვენ იცით, რა მძიმე მდგომარეობაში იყო ქალი იმჟამად აღმოსავლეთში, როდესაც მას არც ქმარი აღარ ჰყავდა და ერთადერთი შვილიც მოუკვდა, ეს ნიშნავდა, რომ ეს ქალი განწირული იყო სრული სიღატაკისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ ამ წლების განმავლობაში მრავალ ჩვენგანს შეემთხვა მსგავსი უბედურება. რამდენი კაცი დაიღუპა ბრძოლის ველზე, რამდენი გარდაიცვალა ავადმყოფობით, რამდენი ბავშვი დაიღუპა უდროოდ და ტრაგიკულად! დღეს საერთოხვედელში შემოვიდა ერთი ადამიანი, რომელმაც შვილი, ახალგაზრდა ბიჭი, დაკარგა სულ ცოტა ხნის წინ. თუნდაც გავისენოთ, რაც მოხდა ვაკის პარკში, როგორ ტრაგიკულად დაიღუპა შესანიშნავი გოგონა, და აი, ყველა ჭირისუფალს, ყველა დედას უფალი იესო ქრისტე იმავე სიტყვებს ეუბნება: „ნუ სტირი!“

რატომ მოსთხოვა უფალმა, რომ არ იტიროს? თქვენ გასოვთ, სხვა ადგილას იგი ამბობს, რომ „ნეტარ არიან მგლოვარენი“, აქ კი ამბობს, არ იტიროო. იმით, რომ იქ სხვა ტირილზე, სხვა გლოვაზე საუბარი; ის ადამიანები, ვისაც უფალი წარმართებს უნოდებს, სხვაგვარად ტირიან, სხვაგვარად გლოვობენ და სხვაგვარად ხარობენ, ვიდრე ღმერთის ადამიანები და მორწმუნეები. ამაზე წერს პავლე მოციქული: „ნუ გლოვობთ, როგორც წარმართები, რომლებსაც არ აქვთ სასოება“. აი, სწორედ ასეთ გლოვაზე საუბრობს უფალი იესო ქრისტე — სასოება მოკვლეულზე, სწორედ ასე ტიროდა ეს ქვრივი — სასოწარკვეთით.

ძმებო და დებო, თუ ჩვენ გვსურს, შევიდეთ „აღდგომისა სიხარულისასა“ და „აღდგომისა ცხოვრებისასა“ და იქ შევეგებოთ ჩვენს ახლოვლებს, მაშინ მიწიერი ცხოვრებაში მათთან დროებითი განშორების ჟამს, უნდა გვახსოვდეს ეს საღვთო ძლევა მოსილებით წარმოქმნილი სიტყვები „ნუ სტირი“ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც არის ხელმწიფე ცოცხალთა და მკვდართა და რომელსა შევნიხდებოდა, პატივი და თავგანსცემა უკუნიით უკუნისამდე ამინ“



# ქართულად და აფხაზურად - ერთი ქრებულნი

მწერალთა სახლში აფხაზ ნაჭყვინძისა და გურამ ოდიშარიას რომანების ქართული და აფხაზური თარგმანების პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც საქართველოს კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ლონისძიების დასრულების შემდეგ განაცხადა, 27 ოქტომბერს აფხაზური ენის დღე აღინიშნება და ჯერ კიდევ წლის დასაწყისში სამინისტრომ ამ დღისთვის რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

ერთ-ერთი პროექტის პრეზენტაცია მწერალთა სახლში შედგა. ეს გახლავთ დაურ ნაჭყვინძის რომანის ქართულად თარგმანსა და გურამ ოდიშარიას რომანის აფხაზურად თარგმანს. ძალიან მნიშვნელოვანი და სიმბოლურია, რომ ორივე თარგმანი ერთ ნიგნად გამოვიდა. რასაკვირველია, ასევე მნიშვნელოვანია, რომ აფხაზური ენის გარდა, ჩვენ ვაფინანსებთ ოსურ ენაზე თა-

ნამედროვე ქართველი პოეტებისა და მწერლების თარგმანებს. გეგმაში გვაქვს, რომ მომავალ წელს ახალგაზრდა თაობის ოსი მწერლების ნაწარმოებების ქართულად თარგმანი დავაფინანსოთ და შევიწარმოოთ ის კულტურული და ლინგვისტური მეგვედრეობა, რაც ჩვენი კულტურული იდენტობის განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან ეს ქვეყანა ერთ მშვენიერ დღეს ნამდვილად გაერთიანდება მშვიდობიანი გზით. ამ გაერთიანებასა და ხიდების აღდგენაში მწერლებს და ნიგნს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მინდა, მაგლობა გადავუსაძო ირმა ოსიას, ასევე დაურ ნაჭყვინძისა და გურამ ოდიშარიას, რომლებმაც მოცემული ნაწარმოებები თარგმნეს. დღეს თქვენი უკვე შეგიძლიათ, ეს ნაწარმოებები ნაიკითხოთ როგორც აფხაზურად, ისე ქართულად, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

# რაღიკალაის სიძლავა

## სანამ ქუჩაში აურზაურს ატეხდეთ!..

შვილის სიკვდილზე უფრო დიდი სიმწარე არ არსებობს ადამიანისთვის. მშობლისთვის შვილი სიცოცხლეზე მეტი რამ არის, ერთი გამოუთქმელი... დიას, სწორედ მშობლისთვის... მაგრამ, როდესაც ტრაგიკული შემთხვევის გამო იღუპება სრულიად ნორჩი სიცოცხლე, იღუპება სამშობლოს მომავლის ვარსკვლავად მიჩნეული ახალგაზრდა, ეს უკვე დედამამისა და ოჯახის ჭირ-ვარამს და ტრაგიკულ სცდება და მისი დაღუპვა უკვე ქვეყნის და ხალხის ტრაგედიაა! სამწუხაროდ, ასე მოხდა ახლა. ცამეტი წლის ჩოგბურთელის, მარიტას მოულოდნელმა ტრაგიკულმა დაღუპვამ ხალხი დაამწუხრა. ქალაქის მცხოვრებთ თითქოს ენა ჩაგვივარდა, ზოგი გაშრა მწუხარებისა და გულისტკივილისაგან, ზოგს ცრემლი მოემატა. ზოგს კი... აი, ახლავე გეტყვით რაც დაემართა... ანგელოზი გოგონას სული ჯერ კიდევ ზეცაში არ იყო გაფრენილი და არ ვიცოცხრე, ასე სწრაფად ერთმანეთს გადაუძახა-გადმოუძახეს თუ რა იყო, შეიკრიბნენ, ახლა, სწორედ, ჩვენი „საყვარელი დედაქალაქის მტრების“ მოშურებისა და ჩვენი ამოქმედების დრო და შეძახილებით - ქალაქის მერი გადადგესო, „ბუკ-ნალარა“ დასცეს. აი, ასეთი მარჯვეები არიან ზოგიერთები. არ ვიცი ვინ არიან ისინი... ფორმით ადამიანებს გვანან, მაგრამ კარგა ხანია, მათი ზნე-ჩვევა გვაკვირებს ბევრს, არც სასამართლოს დაგიდევნ და არც სამართალს. მათი გაგებით, სიმართლე ის არის, რასაც ისინი ხედავენ, აღიქვამენ და ამბობენ. უნდა დაუჯერო, აბა, რა, თუ არ დაუჯერებ და... მაშინ პუტინის აგენტი ხარ! აი აქ კი, თავს ვერ ვიკავებ. რა დაროს ღიმილია, მაგრამ მელიძეა. ზოგიერთის ენა რას არ იტყვის და რას არ მოჩმანავს.

დამნაშავე არაა, ან არის, წინასწარ, სასამართლოს გარეშე, რატომ, რა საფუძვლით უნდა ამტკიცონ ის, რაც მათ უნდათ? შეიძლება შენი შეხედულება თქვა, ან ავი ან კარგი, მაგრამ მკვლელობის დაბრალება? არადა სათქმელი მართლაც თქვეს მოაზროვნე ადამიანებმა. გამოვიდნენ ხელოვანები, კომპოზიტორები, მეცნიერები, თქვეს სახალხო - კარგი მერი გვყავსო, მოამაგეო. ასეთი თავკაცი თბილისს არც ჰყოლიაო... დასანახავი არ დავინახოთო? არ ვიცი, მეც გაოგნებული ვარ. ამ ქალაქში ჩემი ხალხი ცხოვრობს. ზოგი უკუღმართი, ზოგი წაღმართი (ოჯახშიც კი ასეა, სხვათა შორის!) და მაინც ყველა ჩემია. რა ვქნათ. ზოგჯერ ვფიქრობ, ვეჭვინობ კიდევცვაი თუ, ჩვენ (ბევრი) არასწორად ვუყუარებთ ცხოვრების დეტალებს. ისინი, ადამიანებს რომ გვანან ფორმით, იმათზე ვამბობ, გაიძახიან - „კორუფციაში იღრჩვებიან მერიაშიო“. მიჩვეული არიან კორუფციას, მაიმუნობას და ყველგან ეს ელანდებათ. თუმცა ასეც შეიძლება, საუბედუროდ, მაგრამ როგორი სათქმელია, თუ სასამართლო არ გაარჩევს და არ დაადგენს. ეს ხომ სიმდაბლაა, უკულტურობა და უცოდინარობაა. ასეთი საშინელი ბრალდებები როგორ შეიძლება ჰაიპარად იქნასო. არა, ასე სურთ! სამართალსაც თავად ჭრიან და კერავენ. ერთი სიტყვით, დაგვეღუპა მერცხალივით გოგონა და ასე გამოხატეს „გლოვა“ ადამიანებმა, რომელთაც ნაციონალებს თუ ნაციონალ-რადიკალებს ეძახიან, მაგრამ არ არის ძნელი მისახვედრი, როგორი გლოვა აქვთ მათ. გლოვა კი არადა, ხელისუფლებაში მოსვლისა და ელანით რა ხანია და პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ტრაგიკულ მოვლენებს თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ. ამასთან ერთად, სამწუხაროა ის არის, რომ ახლა საინფორმაციო არხების უმეტესობას მიეცა საშუალება თავიანთებურად „თარგმნონ“ ეს უბედური შემთხვევა, წინასწარ გააკეთონ დასკვნები და ხალხში ექვი და გესღო ჩანერგონ. მთავრობას კი მუშაობაში ხელი შეუშალონ, საქვეყნო და სახალხო საქმის კეთების ნაცვლად, მუდამ თავის მართლების რეჟიმში ამყოფონ. ერთი რამ მინდა ვურჩიო ჩვენს „მეგობარ უკულტურათებს“. სანამ თავიანთი მოწოდებებით, ვითომცდა ხალხის სახელით, ქუჩაში გამოვიდოდნენ, ან მერიის შენობასთან აურზაურს ატეხდნენ, მანამ სოციალურ ქსელებშიც ჩაიხედონ და ნახონ, ხალხი რას ფიქრობს ქალაქის მერზე, რა შეხედულებების არიან და როგორ აფასებენ მის ავკარგიანობას!

გულნარა სტურუა



# გიგა ლორთქიფანიძის მემორიალური ბიუსტი ხელოვნების სასახლეში


ბიუსტი, რომლის ავტორია მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილი, სასახლეში არსებულ „უკვდავთა ბაღში“ ათეულობით სხვა ხელოვნების ბიუსტებს შორის განთავსდა.

კულტურის მინისტრ თეა წულუკიანთან ერთად, ლონისძიებას ესწრებოდნენ რეჟისორის ოჯახის წევრები, მოსწავლეები, კოლეგები, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს რეჟისორის შემოქმედება. როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, გიგა ლორთქიფანიძე იყო ადამიანი, რომელიც ქმნიდა ქართულ კულტურას და რომელიც დღესაც არის ნიშნული ქართულ კულტურაში.

„გიგა ლორთქიფანიძეს დღეს 95 წელი შეუსრულდებოდა. ძალიან გვაძაბავდა, რომ შევქმნილი მის მემორიალურ ბიუსტს, ოჯახთან თანამშრომლობით და ხელოვნების სასახლის ხელშეწყობით, ამ ხეივანში, სადაც სხვა ჩვენი დიდი ღვაწლმოსილი ქართველი ადამიანების ბიუსტებია, განგვეთავსებინა გიგა ლორთქიფანიძის ბიუსტი. მომავალმა თაობებმა, ის, ვინც ამ მუზეუმში მოდის დასათვალიერებლად, უნდა იცოდეს, რომ ეს იყო ადამიანი, რომელიც ქმნიდა ქართულ კულტურას და დღესაც არის ნიშნული ქართულ კულტურაში, მათ შორის თეატრსა და კინოში. როგორც ის ანიჭებდა ახალგაზრდების როლს დიდი მნიშვნელობას, ჩვენც დიდი ადგილი უნდა დავუთმოთ. მადლობა მინდა, გადავუსაძო მოქანდაკის, თენგიზ ღვინიაშვილის ოჯახს, რომელმაც საშუალება მისცა გიგა ლორთქიფანიძის ოჯახს და ჩვენ, რომ ეს ბიუსტი ამ ხეივანში განგვეთავსებინა“, — განაცხადა თეა წულუკიანმა. გიგა ლორთქიფანიძის მემორიალური ბიუსტი, ქეთევან კიკნაძემ კულტურის სამინისტროს მადლობა გადაუხადა.



ოსტრალიაში წლის წინ ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, რომ საქართველოში ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევა და ნაშრომების გამოცემა შესაძლებელი იქნებოდა. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, წარმატებისა სჯეროდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს. 1992 წელს სწორედ მისი ხელმძღვანელობით თსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრასთან დაარსდა „ქართული დიპლომატიის სახელმძღვანელო კვლევითი ლაბორატორია“, რომელიც 1996 წელს „ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრად“ გადაკეთდა. ლაბორატორიამ და ცენტრმა დიდი და სერიოზული სამუშაო შეასრულა. აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით 1994 წელს დაიწყო „ქართული დიპლომატიის წელიწადი“ გამოცემა. დაწყებული სამუშაო წარმატებით გაგრძელდა და ქართული ისტორიოგრაფიის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ დღემდე გამოცემულია წელიწადულის 19 ტომი, მზადდება მეოცე.



# ამ წიგნით თაობები უნდა აღიზარდონ!

## „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ მეორე გამოცემის გამოსვლის გამო

ხანგრძლივობის ისტორიით იმ თითზე ჩამოსათვლელ ქვეყანათა რიცხვში შედის, რომლებიც დღესაც ღირსეულად აგრძელებენ სიციხლეს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. საქართველო თავისი სახელმწიფოებრიობის ისტორიას იწყებს ქვეყნის ტერიტორიაზე სულ ცოტა 3000 წლის წინ არსებული უძველესი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების დაიყენების დროიდან, კერძოდ ცხოვრებით. ეს ფაქტი თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ქართული პოლიტიკური სამყარო აქტიურად იყო ჩართული იმ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობებში და მისი დიპლომატიის ისტორია მდიდარი წარსულის მქონე და მრავალფეროვანია. შესაბამისად, ავტორების მხრიდან იმის ხაზგასმას, რომ ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლა მალევე მეცნიერულ დონეზე უნდა მოხდეს და სტუდენტ ახალგაზრდობას მიეწოდოს მეცნიერულად გამართული ცოდნა ამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, უარესად სწორად განსაზღვრულ მიზანს წარმოადგენს და ყველანაირი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს ამ მიზნის რეალიზებას.

პატარა სახელმწიფოებს ისტორიულად ძალზე უჭირდათ დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მათ ბევრად დიდი მსხვერპლის გადაება სჭირდებოდათ გადარჩენისათვის მძიმე დროში. საქართველომ დიდ და რთულ გამოწვევებს გაუძლო და დაუშვებელი არ დაფასდეს წინაპრების ეს დიდებული თავგანწირვა, დაუშვებელია სათანადოდ არ იქნას შესწავლილი, გამოკვლეული და გადაცემული მომავალ თაობებზე ეს გმირული თავდა-

დება ქვეყნის მომავლის სამსხვერპლოზე რომ მიიტანეს ჩვენმა წინაპრებმა.

წიგნის I თავის ავტორები არიან პროფესორები ერეკლე ასტახიშვილი და გრანი ქავთარია. ამ თავში მოქცეულია ქართული დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვით IV საუკუნემდე. წიგნის II თავი უცვლელადაა გადმოტანილი პირველი გამოცემიდან და მისი ავტორები, როგორც შემოთავს ალინიშნა არიან აწ უკვე გარდაცვლილი ქართველი მეცნიერები, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე და პროფესორი დიმიტრი ლეთოლიანი. ამ თავში გადმოცემულია ქართლისა და ეგრისის სამეფოების საგარეო პოლიტიკა. წიგნის III თავი ასევე ეკუთვნის პროფესორ დიმიტრი ლეთოლიანს და იგი ეძღვნება ქართლისა და ეგრისის სამეფოების დიპლომატიასა და საგარეო პოლიტიკას VI საუკუნიდან VII საუკუნის I ნახევრის ჩათვლით. წიგნის IV თავის ავტორები არიან აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე და პროფესორი ზურაბ პაპასკირი. ეს თავი ეძღვნება ქართული დიპლომატიის მოღვაწეობას საერთაშორისო ასპარეზზე VII საუკუნის II ნახევრიდან X საუკუნის II ნახევრამდე. მომდევნო V თავის ავტორები ვახუშტაძე: მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ზურაბ პაპასკირი და ჯამა სამუშია. ამ თავში საუბარია ერთ-ერთ ყველაზე საამაყო პერიოდზე ქართული დიპლომატიის ისტორიაში – ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ისტორია და მისი ადგილი მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში, ანუ ქართველი დიპლომატების მოღვაწეობა XI-XII საუკუნეებში. წიგნის VI თავის ავტორია პროფესორი დავით ნინიძე. ამ თავში მოთხრობილია საქართველოს საგარეო პოლიტიკაში XIII-XV საუკუნეებში მიმდინარე პროცესების შესახებ. წიგნის VII თავის ავტორები არიან ქართველი მეცნიერები დევი ჯაჭარავა და ჯამა სამუშია. ამ თავში საუბარია ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიკაზე XVI-XVIII საუკუნეებში. წიგნის VIII-XIII და XIV თავების ავტორია პროფესორი ვახტანგ გურული. ამ თავებში გადმოცემულია შემდეგი პერიოდის დიპლომატიის ისტორია: ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა რუსეთის იმპერიის მფარველობაში, გეორგიევსკის ტრაქტატის დადება, ქართლ-კახეთისა და რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობები, ერეკლე II პერიოდის დიპლომატია, გიორგი XII დიპლომატია, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება (1800-1801 წლები), იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიასა და აფხაზეთის სამთავროების შესვლა რუსეთის იმპერიის მფარველობასა და შემდგომ – ქვეშევრდომობაში (1803-1810 წლები). რაც შეეხება ბოლო, XV თავს, მისი ავტორები ვახუშტაძე ვახტანგ გურული და გივი ბოლოთაშვილი. იგი მოიცავს XX საუკუნის 20-90-იანი წლების პერიოდს.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ წიგნი დაწერილია მდიდარ ქართულ და უცხოენოვან წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ყველაზე ადრინდელი თხზულებების, შავთავრაფიული ძეგლების და მთელი შემდგომი პერიოდის ისტორიული წყაროების გამოყენებით. შეიძლება ითქვას, რომ ავტორთა ჯგუფს საქართველოს ისტორიის წყაროები სრულად გაუანალიზებია. ეს ფაქტი თავისთავად მრავლისმეტყველია.

**როგორც ჩამოთავს ალინიშნით, ქართული დიპლომატიის ისტორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის, ჩამოყალიბება საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. დამოუკიდებლობის თავიდან მოკვებითი პერიოდის დასრულების შემდეგ, დადგა საკითხი ამ დარგის სათანადო დონეზე მოწესრიგებისა და შესაბამისი კადრების მოზარდებისა. ეს მისია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა და მისმა მოადგილემ დიპლომატიის დირექტორმა დავით ნინიძემ და მისმა მოადგილემ დიპლომატიის დირექტორმა დავით ნინიძემ.**

„ქართული დიპლომატიის ისტორია“ მსოფლიოს დიპლომატიის ისტორიის ნაწილია და ჩვენი მიზანი ასევე უნდა იყოს მისი აქტიურად გააცნობა დანარჩენი მსოფლიოსათვის. საქართველოს მებრძულ სახელმწიფოებში, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში ისწავლება დისციპლინა „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“, ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ წიგნის ინგლისურ ენაზე გამოცემა მოხერხდება და მასალა მიეწოდება დაინტერესებულ უნივერსიტეტებს, მით უფრო, რომ ამ უნივერსიტეტების მხრიდან არის მსგავსი წინადადებები და მოთხოვნები. გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ძალიან დიდ საქმეს ემსახურება მსგავსი ნაშრომებისა და წიგნების გამოცემა. მომავალი თაობები მალე იქნებიან, რომ ამ დიდებულ ტრადიციას საფუძველი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ჩაეყარა და ცარიელი ფურცლიდან არ მოუწვევთ კვლევების ჩატარება. ეს ტრადიცია უნდა გავრცელდეს და ემსახურებოდეს ქართული სახელმწიფოს გამდიდრებას.

ველოცავთ ქართველ მეცნიერებს, სრულიად საქართველოს, ამ საოცრად საჭირო და მაღალი სამეცნიერო სტანდარტებით შესრულებული ნაშრომის გამოცემას და გზას დაველოცავთ! დაე, უამრავი მამულიძეობი და სახელმწიფო მოღვაწე აღზრდილიყოს ამ წიგნით.

**ოზარ გოგიაშვილი,**  
აკადემიკოსი;  
**მაია მანჩხაშვილი,**  
პროფესორი.


1997-1999 წლებში აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით გამოიცა „ქართული დიპლომატიური ლექსიკონი“ ორტომეული. 1998 წელს როინ მეტრეველის რედაქციით დაიბეჭდა „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“ (ორ ნაწილად), რომლის ბაზაზეც 2003 წელს გამოიცა „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ ერთტომეული, ერთი წლის შემდეგ კი გამოვიდა „ქართული დიპლომატიის ისტორიის ქრესტოთია“. მიმდინარე, 2022 წელს, განხორციელდა „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ მეორე გამოცემა. იგი მომზადდა აკადემიკოს როინ მეტრეველის ხელმძღვანელობით, თავადაა წიგნის თანაავტორი და რედაქტორიც. ახალი გამოცემის მომზადება განაპირობა იმან, რომ პირველი გამოცემა, რომელიც მკვლევართა და სტუდენტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა, უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს იშვიათობად იქცა და ეს მაშინ, როცა საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში სასწავლო დისციპლინა „ქართული დიპლომატიის ისტორია“ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სავალდებულო სავნად ისწავლება. „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ გამოცემის საკითხი რამდენიმე წლის წინ დაიწყო, მაგრამ ფინანსური სიძნელეების გამო ვერ განხორციელდა. შემდეგ წიგნის გამოცემა თავს იდო გამოცემისთვის „არტანუჯის“ დირექტორმა გ-მმა ზუბა კუდავამ. გამოცემა მოამზადა „არტანუჯის“ სპეციალისტთა ჯგუფმა. ყველა რთული საკითხი ოპერატიულად წყალობდა გ-მ ზუბა კუდავასა და ქ-ნ ეთერ მაილთვილის ძალისხმევით. წიგნი დაიბეჭდა თურქეთში. იგი 4-4 ფორმატის 700 გვერდზე შეტეს მოიცავს, თან ახლავს ილუსტრაციები. ყდის დიზაინი ეკუთვნის ქ-ნ ნინო ხვინციას.

ახალ გამოცემაში უცვლელი დარჩა გარდაცვლილი ქართველი მეცნიერების აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის, პროფესორების: დიმიტრი ლეთოლიანის და დევი ჯაჭარავას მიერ დაწერილი მონაკვეთები, შეივსო მხოლოდ ყოველი თავის ბოლოს დასრული წყაროებისა და ლიტერატურის სია და ტექსტში შეტანილი იქნა ზოგიერთი კორექტურული სწორება.

აკადემიკოს როინ მეტრეველის გადაწყვეტილებით თავიდან დაიწერა ქართული დიპლომატიის ისტორიის მონაკვეთი XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე (ავტორი პროფესორი ვახტანგ გურული).

„ქართული დიპლომატიის ისტორიის“ მეორე გამოცემის ავტორები არიან: აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პროფესორები: ზურაბ პაპასკირი, ჯამა სამუშია, ერეკლე ასტახიშვილი, გრანი ქავთარია, დავით ნინიძე, ვახტანგ გურული და გივი ბოლოთაშვილი. ნაშრომი მოიცავს ქართული დიპლომატიის ისტორიის უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე.

წიგნის შინაარსი აწყობილია შემდეგი თანმიმდევრობით: იგი მოიცავს შესავალს, რომლის ავტორები არიან აკადემიკოსი როინ მეტრეველი და პროფესორი ზურაბ პაპასკირი, თხუთმეტ თავს და თითოეული თავის ბოლოს მიმდინარეობის მდიდარ ჩამონათვალს. შესავალ ნაწილში როინ მეტრეველი და ზურაბ პაპასკირი საუბრობენ დიპლომატიის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობაზე, დიპლომატიის, როგორც დარგის წარმოშობის ისტორიაზე, ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში მის როლზე. ავტორები მოგვითხრობენ, რომ დიპლომატიის, როგორც საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების წარმართვის საშუალება, ჩნდება თემური წყობილების დროიდან და დროთა განმავლობაში გადადის განვითარებას სხვა ეტაპებზე. მაგრამ, მისი, როგორც საგარეო პოლიტიკის საშუალების სრულად ამოქმედება მაინც უკავშირდება სახელმწიფოების აღმოცენებას. ავტორები სიამაყით უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ საქართველო თავისი სახელმწიფოებრიობის



საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის თაოსნობით დაწყებული, რეგიონების განვითარების პროგრამის პრაქტიკულმა განხორციელებამ საოცრად მასშტაბური ხასიათი მიიღო სრულიად საქართველოში და მათ შორის ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ამის ეკავიო მთავალითაა განვლილი ორი წლის მანძილზე შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო და ტურისტული ზონის განვითარება-სრულყოფის მიზნით ხორციელდება.

ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ერთობ პოპულარული საკურორტო და ტურისტული ზონაა და მისი კეთილმოწყობა, განახლება და ეკონომიკური აღმავლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის უპირველესი საზრუნავია.



ბორჯომის ერთ-ერთი კუთხა

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 30 წლის წინათ ბორჯომში მოქმედებდა 15 სამრეწველო საწარმო, შექმნილი იყო საკურორტო-ტურისტული ობიექტების ფართო ქსელი, ბორჯომი საერთაშორისო კურორტად ითვლებოდა და მეტად პოპულარული იყო. ყოველწლიურად ბორჯომში 120-150 ათასი ავადმყოფ-დასვენებელი მკურნალობდა და ისვენებდა. თუ ყოველივე ამ სიკეთეს იმასაც დაემატებოდა, რომ ბორჯომის მინერალური წყალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიოში და იგი საქართველოს სავიზიტრო ბრუნავს წარმოადგენდა და დღევანდელსაც წარმოადგენს.

# ბორჯომ-ბაკურიანის დღევანდელი და მომავალი

## მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონში

საც წარმოადგენს, შეფასება უსაფუძვლო სრულდება არა იქნება... ბორჯომს არც შემოსავალი აკლდა და არც სახელი.

ბორჯომში ყოველწლიურად ისვენებდნენ საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლები.

ცნობილი მოვლენების შემდეგ საქვეყნოდ აღიარებული ბალნეო-კურორტისაგან ბორჯომში მხოლოდ მწარე მოვლენები შემოგვრჩა.

ერთ დროს ბალნად ქცეული საკურორტო ობიექტები და ტერიტორიები გაპარტახებულია, არც ერთი სანატორიულო-საკურორტო ობიექტი აღარ ფუნქციონირებს.

30 წლის წინათ უამრავი გაყიდული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტებიდან თითქმის ჩამოსათვლელი თუ ფუნქციონირებდნენ, დანარჩენები ეკალბარდებოდა დაფარული, ამ ობიექტების მფლობელები არც ფიქრობენ მათი ამოქმედებისათვის და ელოდებიან მდიდარი ინვესტორის გამოჩენას, რათა სარფიანი შემოსავალი ნახონ. ასეთ ობიექტთა შორისაა 9-სართულიანი ყოფილი ადმინისტრაციული შენობა, ყოფილი სასტუმროები „ბორჯომი“ და „თბილისი“, მიტოვებულია ტურმაზა „პლატო“, უპატრონოდა კომპიუტეროთა შემოქმედებითი სახლი, მთელი რიგი ყოფილი სანატორიუმები („ლიკანი“, „მთის ხეობა“, „ფირუზან“, „რკინიგზის საავადმყოფო“, პანსიონატი „პლატო“ და სხვებშიც, თავიდან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულები შეასახლეს, მერე ეს შენობები მთლიანად მათვე გადაეცათ მიწებზე, (მეგრე მინები კიდევ გაყიდა და ახლა თავიდან ითხოვენ საცხოვრებელს).

დღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში სამი მადალი კლასის სასტუმრო მოქმედებს,

(„ქრაუნ პლაზა“, „ბორჯომი-პალასი“ და „ბორჯომი-ლიკანი“), არის რამდენიმე თანამედროვე დონის საოჯახო სასტუმროც. სამაგიეროდ ბაკურიანში ათეულ-ობით მაღალსართულიანი სასტუმროების კორპუსები აშენდა და დღესაც ინტენსიურად შენდება მაღლივი კორპუსები, სადაც სერიოზულად დაიწყო ამ შესანიშნავი ზამთრის კურორტის განვითარების გეგმების მოთხოვნები. ახლა ბაკურიანში სასტუმროების ბუშია.

დღეს ბორჯომში ორად-ორი სამრეწველო ობიექტი მუშაობს სტამბილურად - „ბორჯომის“ მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა და ჩითახევესი, დანარჩენი ყოფილი სამრეწველო ობიექტების სახელები ისტორიის საკუთრებად იქცა...

მუნებშია, ბორჯომის, როგორც ბალნეოკურორტის აღორძინებას წლები დასჭირდება და მართო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების თავგანწირული შრომა საკმარისი არ იქნება, თუ ცენტრალური ხელისუფლება, ცალკეული სამინისტროები და უწყებები ქმედით დახმარებას არ აღმოუჩენენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა ხელმძღვანელებს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არზოლიშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** დიდი ენთუზიაზმით და მონაწილეობით იღვწიან მუნიციპალიტეტში შემავალი დაბა-სოფლების ინფრასტრუქტურული პროექტების ხორცილებისათვის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის.

მათი შრომის შედეგებს ამ ინტერვიუს წაკითხვისას გაეცნობით.

მაშ, ასე, გულახდილ საუბარს ვიწყებთ ბორჯომის მერთან ბატონ **ოთარ არზოლიშვილთან**:

**- ბატონო ოთარ, რას ნიშნავს იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი?**

- ბორჯომი ყოველი ჩვენგანისათვის მშობლიური ქალაქია და სწორედ ჩვენი ძალისხმევით უნდა შევძლოთ, რომ ის გახდეს კიდევ უფრო განვითარებული და უფრო მიმზიდველი კურორტი, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე აქ ჩამოსული სტუმრებისთვის. გულწრფელად ვამ-

ბობ, ამ ქალაქის მსახურებით არ დავიღვებ. ჩვენი გუნდი სწორედ ბორჯომელთა მხარდაჭერით და გვერდში დგომით აკეთებს ქალაქისთვის სასიკეთო საქმეებს. ამიტომ დღე-ნიადავ ვზრუნავთ ბორჯომისა და ბორჯომელების წინაშე არსებული გამოწვევების ღირსეულად გადაჭრისთვის.



ოთარ არზოლიშვილი

ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ ბორჯომსა და ბორჯომელებსადმი მიცემული სიტყვა პირნათლად შევასრულო.

**- ბატონო დავით, თქვენ როგორ შეაფასებთ ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქციას?**

- ჩემი უპირველესი მოვალეობაა, შევასრულო ამომრჩეველთა განაწესი, ვიზრუნო ყველა იმ დაპირების აღსასრულებლად, რაც ჩვენს მოსახლეობას შევპირდი დეპუტატებთან ერთად, განვახორციელო ყველა ის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ეს ყოველივე უიღვსი პასუხისმგებლობაა. ამიტომ მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და ვზრუნავთ მათი ყოველდღიური სოციალური პრობლემების არამარტო გათავისებისთვის, არამედ მათი გადაწყვეტისთვის.

**- ბატონო ოთარ! როგორ დაახასიათებთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს.**

- მიმდინარე 2022 წელს ბორჯომში გამოჩენილი ტურისტული სეზონი გვექონდა. ბორჯომის მუნიციპალიტეტმა უპრეცედენტო რაოდენობის ვიზიტორს უმასპინძლა, რაც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის კეთილდღეობასთან. როგორც ადგილობრივი მოსახ-

ლეობისათვის, ასევე ვიზიტორებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაც უფრო მეტად მიმზიდველს და საინტერესოს გახდის ჩვენს მუნიციპალიტეტს. ამ მიზნისათვის დაგეგმილი არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

**- ბატონო დავით, რა დონისიდეგები განახორციელებთ ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად?**

- განვილილ 2021 წელს და მიმდინარე წლის 8 თვეში საკრებულოს 22 სხდომა ჩატარდა და 123 საკითხი განვიხილეთ, რომელიც ძირითადად ეხებოდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას. მივიღეთ 48 გადაწყვეტილება და 75 განკარგულება. ახლა ვზრუნავთ მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

დახმარება აღმოვეჩინეთ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მათ შორის მრავალშვილიან ოჯახებს, ახალდაქორწინებულებს, დედ-მამით დაობლებულ ბავშვებს, შშმ პირებს, წარმატებულ სტუდენტებს და ა.შ.

**- ბატონო ოთარ, რამდენია მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი და ძირითადად რას ხმარდება ეს თანხა?**

- მიმდინარე წლის ბიუჯეტი 41 267 131 ლარს შეადგენს, დაგეგმილი ბიუჯეტის თითქმის ნახევარი 18 423 508 ლარი გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განახორციელებლად. ინფრასტრუქტურული პროექტების ძირითადი პრიორიტეტებია: საგზაო ინფრასტრუქტურა, სოფლად სასმელი წყლის რეაბილიტაცია, ცენტრალურ ქუჩაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების და სახურავების რე-



დავით ზაალიშვილი



მუნიციპალური სკოლა









საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს  
სამინისტროს გაგზავნილ პრესბული სახელმწიფო საკუთრებაში  
დანიშნულების - საქართველოს საპროპორციო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

შეიქმნება „აუსილაკალი საზოგადოებრივი სპორტობიექტის საპროპორციო ჩამორთმევის  
ნაშის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს  
გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრებაში დაწესებული - საქართვე-  
ლოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორ-  
ციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (ახერბა-  
იჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის 16 კმ-  
იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის შემოქმედების ქვეშ მოქცევა მოქალაქეების თონა ქვიაშვილის (პ/ნ  
40001006751) და ლეილა ფოლადაშვილის (პ/ნ 40001009834) (შემდგომში - თანამესა-  
კუთრეები/მოქალაქეები) თანსაკუთრებაში არსებული, სიღნაღის მუნიციპალიტეტის,  
სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის  
(ს/კ 56.03.50.281) მთლიანი ფართობის - 1 322 კვ. მეტრის ნაწილი - 240 კვ. მეტრი  
(შემდგომში - საექსპროპორციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთ-  
რებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპორციო ქონების მორიგებით  
გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრებს დამატებით,  
წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და  
მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების  
წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების  
გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრები ინფორმირებულ-  
ნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმე-  
დებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმე-  
ვის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც  
ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორ-  
თმევას.

შემოადინებული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესა-  
ბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპორციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული გან-  
ვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელ-  
მწიფო საკუთრებაში დაწესებული - საქართველოს საავტომობილო გზების დე-  
პარტამენტისათვის ექსპროპორციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 12 ოქტომბრის №1-  
1/438 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპორციის  
უფლება მოქალაქეების თანსაკუთრებაში არსებულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის,  
სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის  
(ს/კ 56.03.50.281) მთლიანი ფართობის - 1 322 კვ. მეტრის ნაწილზე - 240 კვ. მეტ-  
რზე. ბრძანება გააძლიერებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიცია-  
ლურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თა-  
ნსაკუთრებაში არსებულ, საექსპროპორციო ქონებაზე ექსპროპორციის უფლების  
მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის  
სამინისტროს გაგზავნილ პრესბული სახელმწიფო საკუთრებაში  
დანიშნულების - საქართველოს საპროპორციო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

შეიქმნება „აუსილაკალი საზოგადოებრივი სპორტობიექტის საპროპორციო ჩამორთმევის  
ნაშის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს  
გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრებაში დაწესებული - საქართვე-  
ლოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორ-  
ციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (ახერბა-  
იჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის 16 კმ-  
იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის შემოქმედების ქვეშ მოქცევა მოქალაქე ნანული თამაზაშვილის (პ/ნ 40001002291)  
(შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, სიღნაღის მუნიციპა-  
ლიტეტის, სოფელ ვაქირში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის  
(ს/კ 56.02.48.101) მთლიანი ფართობის - 3 207 კვ. მეტრის ნაწილი - 1 436 კვ. მეტრი  
და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპორციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთ-  
რებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპორციო ქონების მორიგებით  
გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრებს დამატებით,  
წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა  
პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინა-  
დადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით  
განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ  
შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებე-  
ლი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“  
საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი  
საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

შემოადინებული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესა-  
ბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპორციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული გან-  
ვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელ-  
მწიფო საკუთრებაში დაწესებული - საქართველოს საავტომობილო გზების დე-  
პარტამენტისათვის ექსპროპორციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 12 ოქტომბრის №1-  
1/438 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპორციის  
უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ  
ვაქირში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.02.48.101)  
მთლიანი ფართობის - 3 207 კვ. მეტრის ნაწილზე - 1 436 კვ. მეტრზე და მასზე  
არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე. ბრძანება გააძლიერებულია საქართველოს სა-  
კანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის სა-  
კუთრებაში არსებულ, საექსპროპორციო ქონებაზე ექსპროპორციის უფლების მო-  
პოვების მიზნით.

# გინვესტიცია კონკურსზე

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთი სასწავლო უნივერ-  
სიტეტი“ 2022 წლის 24 ოქტომბრიდან აცხადებს  
ღია კონკურსს ამავე უნივერსიტეტის მფლობელის  
სკოლის შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე:

- ა) კარდიოლოგიის და კარდიოქირურგიის მიმართულებით პროფე-  
სორის 1 საშტატო ერთეულზე;
- ბ) ტრანსპლანტოლოგია/ორთოპედის მიმართულებით ასოცირებული პრო-  
ფესორის 1 საშტატო ერთეულზე;
- გ) მეანობა-გინეკოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფე-  
სორის 2 საშტატო ერთეულზე;

## კონკურსის პირობები

1. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორო-  
ბისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკა-  
დემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის და-  
საკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. პროფესიული ნიშნით  
თანამდებობის დასაკავებლად ეს სავალდებულო არ არის.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარ-  
მოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ანკეტა (შეესებულად), რო-  
მელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე [www.eastwest.edu.ge](http://www.eastwest.edu.ge);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ოთხი ფოტოსურათი 3X4;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) შესაბამისი სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხის  
ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი საბუთების  
ასლი; (უცხოეთში მიღებული აკადემიური ხარისხის შემთხვევაში, კანდიდატმა  
უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრის მიერ გაცემული, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარ-  
ების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით სა-  
უკეთესოდ წარმოაჩინებს მის კვლევით უნარს;

ზ) პროფესიული ნიშნით თანამდებობის დასაკავებლად ე) და ვ)  
პუნქტებში მითითებულ საბუთები სავალდებულო არ არის;

თ) ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი);

ი) ცნობა სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების შესახებ (პრო-  
ფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია ცნობით და-  
დასტურებულ იქნას არანაკლებ ექვსწლიანი სამეცნიერო-პედაგოგი-  
ური გამოცდილება, ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებო-  
ბის დასაკავებლად აუცილებელია, რომ ცნობით დადასტურებულ იქ-  
ნას არანაკლებ სამწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება);

კ) პროფესიული ნიშნით თანამდებობის დასაკავებლად უნდა იყოს  
წარმოდგენილი დარგში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი პრაქტიკუ-  
ლი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები და სპეციალურ  
ი მომზადების (ტრენინგებში, კონფერენციებში, სემინარებში და ა.შ.)  
დამადასტურებელი დოკუმენტები.

ლ) ლექციების ინტელისურ ენაზე წაკითხვის გამოცდილების არ-  
სებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მ) სახელმწიფო სერტიფიკატები ნებადართულ კლინიკურ სპეცია-  
ლობებში - საკონკურსო თანამდებობის შესაბამისად;

4. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფა-  
სება მოხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი სა-  
კონკურსო კომისიის მიერ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველო-  
ბაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების სა-  
ფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;

ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;

გ) სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (განსა-  
კუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში).

5. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს აღმოსავლეთ-  
დასავლეთი სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მარ-  
თვისა და საქმის წარმოების სამსახურში, მისამართზე: ქ. თბილისი,  
ვახტანგ გორგასალის ქუჩა №9, 2022 წლის 24 ნოემბრიდან 29 ნოემ-  
ბრის ჩათვლით.

6. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2022 წლის 6 დეკემბერს  
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე [eastwest.edu.ge](http://eastwest.edu.ge)

7. საბუთები უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული  
ფორმით, DVD-დისკზე ჩაწერილი სახით.

8. საკონკურსო საბუთები კონკურსანტებს უკან არ უბრუნდებათ.  
კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად (საკონკურსო კომისიის მიერ  
კონკურსანტთა დოკუმენტაციის შესწავლა, პირველადი შეფასება, დო-  
კუმენტაციის შედგენილი შერჩეული კონკურსანტებთან გასაუბრება და  
შეჯერება - გადაწყვეტილების მიღება).





# დარბაზი — პარლამენტის საძირკველი

მე არ ვწერ ლექსებს,  
მე ვრიტმაგ ვსვებებს.

აკადემიკოსი როინ მეტრეველი წერს: „ამიერიდან მეფე (თამარი)დარბაზის პრინს „ერთნაპოვითა და თანადგომითა“ მიიღება სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს.“ „ერთნაპოვა და თანადგომა“ გიორგი III-ის მეფობისთვისაც არის დამახასიათებელი.“

ჩვენი ერის სადიდებლად უნდა ითქვას კიდევ ერთი, კიდევ ერთი თამამი და კიდევ ერთი მართალმსლელი, თამარის და მისი ნების, მისი გონის განმსაზღვრელი, საქართველოს პირველობის კიდევ ერთი წარმომჩენი.

ქვეყნად ყველგან ხმად რომ ისმის, ინგლისია პირველმქმნელი, ერთპიროვნული მეფობის საზოგადო აზრით მცველი, მეცამეტე საუკუნის პარლამენტის ფუძემდები, გავიხსენოთ საქართველოს ოქროს ხანის სიახლენი?

დავინახავთ, რომ ჩვენს ერში თამარ მეფის ბრძნული ჭვრეტით, დიდი მამის კვალის ჭერით, თვით თამარის მაღალ ნებით, საქართველოს ცისქვეშეთში ღრმად გაიჭრა პარლამენტის „ერთნებობა-თანადგომის“ საძირკველთა საძირკველი...

XII საუკუნის მეფე-ქალის დარბაზია ამის მთქმელი!


ქათივან გოდარკიშვილი,  
ენათმეცნიერი-ონომასტიკოსი,

## ფილარმონიის ნინ თაყუპ ყვითელაშვილის პარსკვლავი გაიხსნა

თბილისში, ფილარმონიის წინ, ვირტუოზი გიტარისტის, თემურ ყვითელაშვილის ვარსკვლავი გაიხსნა.

ვარსკვლავის გახსნამდე ყვითელაშვილმა სოლოკონცერტით გამართა. კონცერტზე ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები გიტარისტმა თბილისის ოპერისა და ბალეტის ორკესტრთან ერთად შეასრულა.

„ისეთი დიდი სიყვარული და პატივისცემა, როგორც მე მაყურებლისგან ვიგრძენი, უდიდესი ბედნიერება, უდიდესი სიმდიდრეა არტისტისთვის. ეს ძალიან ბევრს მავალებს“, — თქვა ყვითელაშვილმა ვარსკვლავის გახსნის შემდეგ.



## გიგო გაბაშვილის გამოფენა პროვზულ გალერეაში

22 ოქტომბერს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა გამოფენა „გიგო გაბაშვილი — წარმოსახვა და რეალობა“.

„ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებლის — გიგო გაბაშვილის შემოქმედებაში არის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები და ფოტოები, რომლებიც ხელოვანის ევროპული მხატვრობით, კერძოდ, სიმბოლიზმით გატაცებას ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ გიგო გაბაშვილის ნაკლებად ცნობილ სიმბოლისტურ ხელოვნებას საზოგადოება ასე მასშტაბურად პირველად ნახავს.“




## მარკსის „მარტოობის ასი წელიწადი“ სერიალად იქცევა...

XX საუკუნის ერთ-

ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მწერლად მიჩნეული, კოლუმბიელი გაბრიელ გარსია მარკსის საკულტო რომანის „მარტოობის ასი წელიწადი“ მხედვით, კინო-კომპანია Netflix სერიალს სულ მალე ჩაუშვებს კინო-ინდუსტრიის წარმოებაში.

ნობელიანტი მწერლის 1967 წ. დაწერილი ეს რომანი, მსოფლიოს იმ წიგნებთა შორისაა დასახელებული, რომელიც ადამიანმა ერთხელ მაინც უნდა წაიკითხოს. სერიალის გადაღება კოლუმბიაში იგეგმება, სოციალურ ქსელში უკვე გავრცელდა ქალაქ მაკონდოს დეკორაციები, ადგილის სადაც მარკსის გმირების მოქმედება ვითარდება. სერიალის გადაღებაში მწერლის შვილები აქტიურად არიან ჩართულნი.



## იღაბთა უღაბოები

ქაბათის რეგიონში, სოფელ უღაბნოს საჯარო სკოლის 125 მონავლეს ამიერიდან ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს მრავალფუნქციური და მრავალფეროვანი ბიბლიოთეკით, კომპიუტერებით, პროექტორებით, საგანმანათლებლო და შემეცნებითი რესურსით. საზღვრისპირა სოფელში იდეათეკის გახსნა იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

საგულისხმო ფაქტია, რომ ამ ყველაფრის ინიციატორი „საქართველოს ბანკი“ გახლავთ. ბანკმა კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით მე-13 ასეთი იდეათეკა გახსნა. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს არაფორმალური და ფორმალური განათლების ხელმისაწვდომობას საზღვრისპირა, მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფლებში. ასევე, გაზარდოს საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა და წიგნიერება, შექმნას უანსალი, კომფორტული საგანმანათლებლო გარემო. მნიშვნელოვანია ის, რომ „საქართველოს ბანკის“ ინიციატივით კვლავაც იგეგმება მსგავსი პროექტების განხორციელება. სულ მალე კახეთის რეგიონში კიდევ 3 იდეათეკას გახსნიან.

რუსუდან ძოგულია

## საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №170

მთავარი რედაქტორი  
სპარტაკ ძოგულია  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიაშვილი  
599 53-76-16;

ალეკო  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაკიძე  
514 33-33-24

გამომცემლობა:

შპს „ახალი საუკუნე —  
გაზეთ „საქართველოს  
რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანადგომა“-გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

იზაბელა სტამბა

„კოლორი“

თ. ბაღდავაძის №3

კოლორი  
ჭაუფი

uac(უაკ)070.4(479.22)

ს-323



2 009882 616932

ავტორთა  
საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ  
შუამავთავი მასალაზე  
დანიშნულია

ავტორთა ხარჯით.  
ავტორთა მოსაზრებები,  
შეხატულება, გუდაამ  
არ ემთხვეოდეს

რედაქციის პოზიციას.  
ფაქტების

სიუჟეტზე პასუხს  
აგვიან ავტორები.

## გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 26 ოქტომბერს



უსტორი ვაჭარის ქარსი:  
აუუ ფონური - 2.7569; აპრო - 2.6849  
ბრიტანული პირანმა სტარლინგი - 3.0618;  
100 რუბლი - 4.4809; თურქული ლირა - 0.1482;  
აზერბაიჯანული მანათი - 1.6262;  
1000 სომხური დრამი - 6.8303.

აივნი 24 ოქტომბრისთვის			
ავტორთა საპროცენტო:			
ბარი -	ლამ	+2,	ფლვ +21
მთიანი რეგიონი -	ლამ	+1,	ფლვ +17
დასავლეთი საპროცენტო:			
ბარი -	ლამ	+9,	ფლვ +20
მთიანი რეგიონი -	ლამ	+3	ფლვ +17
თბილისი:	ლამ	+6,	ფლვ +20

დაგვიკავით, მოგვწერით:  
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35  
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge  
და sakresp@mail.ru  
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge